

რედაქცია

მელი მ. ნოვის ქუჩაზე, პეტროპოლის სახ-  
ლებში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სტ. მელოტიშვილის სტამბაში.  
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ  
редакціи газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში —  
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.  
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრან-  
გულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ. სომხურ-სომხურით,  
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.,  
პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს  
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.  
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

## საქართველო

### რა შემოსდის გლეხს მამულიდან?

#### III

მაგრამ გლეხს მართა პური ხომ  
არ მოჰყავს, — იმას სიმინდიც მოჰყავს  
და ევენახსაც იმუშავენ. იქნება ამე-  
ებიდგან იმოდენა შემოსავალი შე-  
მოსდის გლეხს, რომ თავის შრო-  
მის ფასსაც იღებს და მოგვებაც იმო-  
დენა რჩება, რომ პურში წაგებას  
იქეთებს? აბა ენახოთ ერთი დლი-  
ური სიმინდის გასაყალ-შემოსავალიც:

შესავალი	მან.	კაპ.
მოხენა და დაფარვა . . . . .	2	40
სამი ჩანახი თესლი . . . . .	"	60
მართი ჩანახი ლობიო . . . . .	"	40
რვა მუშა სამჯერ გასათხნად . . . . .	2	40
მორწყვა სამჯერ . . . . .	"	90
ლობოს მოგლეჯა და დაბეჭვა . . . . .		
სიმინდის მოჭრა, გარჩევა და და- ცევა . . . . .	1	70
პურის ჰამა მუშებს მოხენიდან სიმინდის გარჩევამდინ . . . . .	3	"
<b>სულ . . . . .</b>	<b>11</b>	<b>40</b>

შემოსავალი	მან.	კაპ.
რვა კოდი სიმინდი . . . . .	12	80
ძოღი ლობიო . . . . .	3	"
ასი კონა ჩალა . . . . .	1	"
<b>სულ . . . . .</b>	<b>16</b>	<b>80</b>

აქედამ ნახევარი ე. ი. 8 მან. 40  
კაპ. მამულის პატრონს უნდა მისცეს;  
მაშასადამე თვითონ დარჩება 8 მან.  
40 კაპ. როგორც მკითხველი ხედავს,  
გლეხი სიმინდიდანაც დღიურზე 3  
მან. მეტს ზარალობს.

რაკი დღიური პურისა და სიმინ-  
დის შემოსავალ-გასავალი შეგატყო-  
ბინეთ, ახლა თქვენ თითონ შეგი-  
ძლიანთ გამოიანგარიშოთ, თუ გლე-  
ხი მთლად თავის ნახნაფ ნათესილამ  
რამდენს ზარალობს; მხოლოდ სა-  
ხეში კი იქონიეთ, რომ ნახევარ  
ლიტრის გლეხი, ე. ი. შუათანა შე-  
ძლებს ათი დღისას ხნავს. მრი  
დღისაში სთესავს პურს, დანარჩენში  
სიმინდს. მაგრამ ეჰ! მოდი ამასაც მე  
ვიანგარიშებ, თორემ მე ვიცი შენ  
ანგარიში დაგეზარება, მკითხველო, და  
იტყვი: რაზე შევიწუხოთ თავი ვიღაც  
გლეხებისთვისაო? რას დავეძებ მე  
იმათ შემოსავალ გასაყალსაო? მე არც  
პური მაკლია და არც წყალიო. — პუ-  
რის დღიურზე ზარალობს 5 მან. და  
სიმინდზე 3 მან.; მაშასადამე სულ ათი  
დღის ნახნავიდამ ზარალობს 46 მან.  
ბიდე კაპიტებს რომ ზარალობდა  
გლეხი ისა და რამდენიმე სხვა სამუ-  
შაო ფასიც, რომელიც მე არ მიან-  
გარიშია — ისა შენი ჭირის სანაცვლო

იყოს, ჩემო საყვარელო მკითხველო,  
და კიდევ იმისი, ვინც ჩემს ანგარიშ-  
ში სიცრუის ეჭვი შემოიტანოს.

თუ წაგებას არა, მოგებას მაინც  
არ არის ევენახის შემუშავებილამაც.

#### IV

თუ გლეხი ხენა-თესვით ამდენს  
ზარალობსო, მაშ როგორღა იხდის  
გადასახადებს და ან როგორღა ცხო-  
ვრობსო? მკითხავს ჩემის ანგარიშით  
გაკვირებული მკითხველი.

იხდის ხარჯს, მაგრამ ვაი ამ გა-  
დახდას! შელამდისინ ვალში და ე-  
ხეში არის ჩაფლული. ცხოვრობს,  
მაგრამ ვაი ამ ცხოვრებასაც! იმათი  
სადგომები სადგომებს არა ჰგავს, ჰა-  
მა-სმა — ჰამა-სმას და ჩაცმა-დახურვა —  
ჩაცმა-დახურვას.

ბი ასე ცხოვრობენ ისინი, რო-  
მელიც ყოველ ცისმარე დღეს მუ-  
შაობენ და წელეზუნდ ფეხს იღვამენ.  
მული კენესის, როცა დააკვირდები ჩე-  
ნი ხალხის მდგომარეობას; მაგრამ უფ-  
რო უარესად კენესის მაშინ, როდესაც  
მოიგონებ ვაჭრებს და ჩარჩებ, რომელ-  
ნიც იმათი შრომით, ოფლით და სის-  
ლით სარგებლობენ და მდიდრდებიან.  
მაგიკვირდება, რომ დააკვირდე მუქ-  
თად მჭამეფებს; არაფერზედ ფიქრო-  
ბენ, არაზედ სწუხდებიან და არას  
აკეთებენ; მაგრამ მთელ დღეს კი  
მხიარულები და განცხრომილები  
ატარებენ. რითი? საიდან? ჩვენ ვი-  
ციტ, რომ კარგად ცხოვრება არის  
შეილი შრომისა, — ესენი არა შრო-  
მობენ, — მაშ რითი ცხოვრობენ და  
მხიარულობენ? თქვენის ნაშრომით,  
თქვენის ნაშრომით, შრომის შეილ-  
ნო!

შინა შრომობენ და ვინ ტყებინან, —  
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!

თუ გლეხკაცი დღევანდლამდის  
როგორც არის ცხოვრობს და შიმ-  
შილით არ ამოსდის სული, — ეს იმი-  
ტომ რომ ის თავის შრომას არ ათა-  
სებს და ჩვენ კი ყველა იმის შრო-  
მა ფულათ ვიანგარიშეთ. თორემ  
გლეხ-კაცი რომ მართლა ფულს ხარ-  
ჯავდეს, მაშინ არამც თუ იზარალებს,  
არამედ მართლაც შიმშილით ამოს-  
ძვრება სული. სოფელს არბოს ერთ-  
მა ვაჭარმა მოინდომა ხენა-თესვა  
ფულითა და კიდევ აღასრულა თა-  
ვის სურვილი; მაგრამ როცა შემო-  
სავალი გასავალს შეადარა, სთქვა:  
„ღმერთმა დამიხსნას, რომ მე ამის  
შემდეგ ერთი კვალიც აღარ გავაყო  
მიწაზედაო!“ რათა? იმიტომ რომ  
შემოსავალი გასავალიც ვერ ააყენა.

### წერილი რედაქტორთან

ჩვენ მაიღეთ შემდეგი წიგნი თუილი-  
სის გუბერნიის თავად-ახნაურობის წინამძ-  
ღობლის თ. რევაზ ანდრონიკოვისაგან:

ბატონო რედაქტორო! სამეურ-  
ნო საზოგადოების კრებაში 26 სექ-  
ტემბერს იყო ბაასი ჩვენებურის  
ღვინის კეთების თაობაზედ. იმ ბაას-  
ში სხვათა შორის მეც მივიღე მო-  
ნაწილეობა, მაგრამ არა ისეთი, რო-  
გორც თქვენს გაზეთშია (№ 111)  
მოხსენებული. სიმართლის აღსადგე-  
ნად მე საქიროდ დაეინახე მოემარ-  
თო ისევე თქვენს გაზეთს და ჩემი  
წინადადება ხელ-ახლად მოვიხსენიო.

ჩემი თქმა ის იყო, რომ ღვინის  
კეთებას, ისე როგორც რიგია, ხან-  
გრძლივი ზედამხედობა, მოვლა და  
შემუშავება უნდა. ხანგრძლივად მო-  
ვლილმა ჩვენებურმა ღვინამ თავი-  
სის გემოვნებით და სუნწელებით  
ყველგან თავი იჩინა, საცა კი გაგ-  
ზავნილი იყო და ამასთანაც ისიც  
დაგვიმტკიცა, რომ შორს მგზავრო-  
ბაში არც ფერს იცვლის, გემო თუ  
არ უკეთდება არ უფუჭდება და სი-  
ცხეს, სიცივეს და დიდს მგზავრობას  
კარგად იტანს.

მაგრამ უბედურობა ეს არის, რომ  
ჩვენებურს ღვინის მკეთებელს ხან-  
გრძლივად ლოდინი არ შეუძლიან,  
რადგანაც დღიურის ლუკმისათვის  
გაჭირებულია. რაკი დაჰსწურავს ყურ-  
ძენს, იგი ცდილობს მალე დაადუ-  
ლოს ღვინო, მალე დასწმინდოს,  
მალე მოამზადოს გასასყიდად, მალე  
გაჰყიდოს და მით მოიპოვოს თით-  
ქმის მხოლოდობითი საშუალება საზ-  
დოებისა, იმიტომ რომ თუ არ ყველ-  
გან ბევრგან მაინცა ჩვენი ლუკმის  
მომცემი, ჩამცემელი და დამხურავი  
მართა ღვინოა. მე აჩქარება მიზე-  
ზი, რომ ჩვენი ღვინოები ბუნებითად  
სიკეთით სავსენი, ჩვენს ხელში თი-  
თქმის უფრო ხდება, ვიდრე კეთდე-  
ბა. ჩვენს ღვინის მკეთებელს, გაჭი-  
რებისა გამო, არ შეუძლიან დიდს-  
ხანს შეჰყუროს ღვინოს და ამის  
გამო დრო არა აქვს, რომ ადამიანის  
მეცნიერება და ხელოვნება ზედ და-  
ართას მას, რასაც ბუნება ასე უხვად  
ხელში აძლევს.

მეორეს დღეს ისევე განვიმეორე  
ეს ჩემი აზრი და ესთქვი: „ყოველი  
იგი, რაც გუშინ აქ ითქვა პატივცე-  
მულთ წევრთაგან, დიდს იმედს გვი-  
ქადის, რომ მომავალში დიდი სარ-  
გებლობა მოეღოს ჩვენებურს ღვი-  
ნის მკეთებელსა. ამასზედ მე არა მე-  
ტყვის რა, ხოლო მე გთხოვთ ხელ-  
ახლად ყურადღება მიაქციოთ გუ-  
შინდელს ჩემს წინადადებასა.

„ზანგიმეორებით: თუ ხელის-გამა-  
რთვა და შემწეობა არ იქმნა, ეგ  
მშვენიერად დაწერილი თქვენი პრო-  
ექტები, ეგ თქვენი ქაღილები, რო-  
გორც ყოველთვის, ისეც ენლა ქა-  
ლალზედ დარჩება და ამ კედლებს  
იქით ფეხსაც ვერ გადასდგამს. ბარ-  
წმუნებთ, რომ, ორიოდ მეზატონის  
გარდა, ჩვენში არც თავად-ახნაურო-  
ბას, არც გლეხ-კაცობას არ ძალუძს  
ექვს თვეზედ მეტად შეინახოს თავის  
მარანში ღვინო გაუსყიდველად. ბე-  
ერი მოსავლის წინათვეც ჰყიდის.  
ღვინის მკეთებელს ის დღიური ლუ-  
კმისათვის გაჭირება მოაშორეთ, ხელი  
გაუმართეთ და მით დრო მიეცით,  
რომ მეცნიერებისა და ხელოვნების  
მეოხებით ღვინო ღვინოთ აქციოს  
და არ აუჩქარდეს მის გასაღებას, და  
მაშინ ნახავთ ჩვენის ღვინის ჭეშმა-  
რიტსა და შეუღარებელ ღირსებასა.  
ხელის გამართვა საქირო, რომ ღვი-  
ნის მკეთებელი ისე მოეკიდოს საქ-  
მეს, როგორც რიგია. მაგისათვის  
გთხოვთ გულ-მტკივნეული ყურად-  
ღება მიაქციოთ ამ მშვენიერ ქვეყა-  
ნასა, რომელიც სავსეა ყოველის  
ნიჭითა და რომელიც ასე უგულოდ  
თავ მინებებულია ყველასაგან. მთ-  
ხვით მიიღოთ შუამდგომლობა მთა-  
ვრობის წინაშე, ანუ ვცადოთ აქცი-  
ებით კამპანია, ან შეერთებული ამ-  
ხანავობა შეადგინოთ, რომ ან ერ-  
თის, ან მეორის, ან მესამის შემწე-  
ობით და დახმარებით იმისთანა მარ-  
ნები გაიმართოს, საცა ტკბილის მი-  
ტანა შეიძლებოდეს, იმ ტკბილიდამ  
რიგონის ღვინის გაკეთება იმ პირო-  
ბით კი, რომ ტკბილის პატრონმა  
მიტანისევე უმაღ ფულით ხელი მო-  
ინაცვლოს.

„ბი განსაკუთრებითი ღონის-ძიე-  
ბა, რომლის ძალითაც შეიძლება  
ჩვენმა ღვინომ იმ უმაღლეს ხარის-  
ხამდინ მიღწიოს და ჩვენმა ღვინის  
წარმოებამ ისე ფართოდ ფრთა გა-  
შალოს, როგორც ბუნებას ჩვენის  
ქვეყნისათვის მიუწილადებია და რო-  
გორც გუშინ აქ მოხსენებული იყო,  
„დასასრულ არ შემიძლიან ისიც  
არ მოვახსენოთ, რომ, როცა მეურ-  
ნობაზედ ჩამოვარდება ჩვენში ლა-  
პარაკი, პირველადვე იმას გვეტყვიან  
ხოლმე, რომ ჩვენებური ხალხი, უმე-  
ცრებისა გამო, ვერას ახალს ვერ  
იშენებს და ვერ მიითვისებსო. ბარ-  
წმუნებთ, ამისი მთქმელი ჰსცდებიან:  
თუ ცხადათ და თვალთ სახილველად  
გვაჩვენებთ, რომ ერთის მანეთის  
მაგიერ ორის მანეთის მიღება შეიძ-  
ლებია, ვინ იქნება იმისთანა უმეცარი,  
ვერ გაიგავს, რომ ერთს ორი ჰსჯო-  
ბია“.

მ. რევაზ ანდრონიკოვი

ი. ბაქრაძე  
(შემდეგი იქნება)



იუბილური კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა

მეორე სხდომა ჰქონდა სამეურნეო საზოგადოებას შაბათ საღამოს (27 ენკენისთვის).

დაწყებისათვის თ. რ. ანდრონიკოვი მიმდინარე თვის წინადადება, რომ ეთხოვათ მოსკოვის მკონომიურ საზოგადოებისათვის კომპიტალისტების კამპანიის შედგენა. ამ გზით ჰგონია თ. ანდრონიკოვის, რომ რადგანაც ფული იქნება, ახალ ღვინოს ეს ამბავი იყიდის და თითონ გააკეთებს; როგორც უმჯობესია; ამითი გაყიდვითაც კარგათ გაიყიდება და სხვა ქვეყნებშიაც უფრო ადვილათ გაეა. შეიძლება რომელიც მოხდეს, მაგრამ უფრო ის შეიძლება, რომ იმ კომპიტალისტების გამდიდრების მეტი სრულიად არა გამოვიდეს. არც ღვინოს გაუმჯობესობა და არც მისი გაძვირება. ჯერ-ჯერობით ეს კარგათ ვიცით, რომ არსად კამპანიების ხელიდგან წმინდა და ნამდვილი ღვინო არ იშოვება; ისინი ყოველთვის თავის ჯიბეზედ ფიქრობენ და ღვინოს გაუმჯობესობა ბევრათ არას აწუხებს მათ.

ჩვენ ქალაქში ნამდვილ ძახურ ღვინოს თუ იშოვით, ისევე თითონ მებატინეების სარდაფებში, სირაჯი არასოდეს წმინდა ძახურ ღვინოს არ მოგვიდის; მუთისში ბაზარში ნაყადი შაფიანის ღვინო სულ სხვა არის და თითონ შიფიანებისაგან სულ სხვა. საფრანგეთშიაც ასე არის: ვაჭარი იყიდის ცოტა ღვინოს, ნახევარს წყალს ურევს, მის შესაფერად შეაზავებს სპირტით და შეპარით და ასაღებს ისე. თითონ პარიზში ვერ იშოვით წმინდა ბურგუნდის ღვინოს, თუ თითონ მემამულეების ხელიდგამ არ იყიდით.

ეს ყველგან ასე არის და ჩვენ ვერ გავიგია მაინცა და მაინც, — რატომ მოსკოვში უნდა შესდგეს მისთანა კამპანია, რომ თავდაპირველად ძახური ღვინოს გაუმჯობესობაზედ იფიქროს? თუ ჩვენ მემამულეებს ეს გაუმჯობესობა ჰსურთ, თითონ შეადგინონ ეს კამპანია; თუ დიდი არა, ჯერ პატარა იყოს. მათთანა გულისით ამ საქმეს არავენ არ მოიკიდება.

შემდეგ აბრეშუმის მოყვანაზედ იყო ლაპარაკი. მომხსენებელად იყო უ. ხოჯაევი. სამწუხაროთ, მისმა მომხსენებამ ერთობ ცოტათ გაგვაცნო თავის საგანს. ამ მომხსენებაში ყველაფერზედ იყო ლაპარაკი: ჰიულისიმონზედაც, პიემონტის არტელეზედაც, ნეაპოლის მებაზაზედ ქალეზედაც; მხოლოდ ერთი აკლდა: ჩვენ ქვეყანაზედ არა იყო რაბერი ნამდვილი: ასე გაშინჯეთ, უ. ალექსანდროვი მოგვიყვია ჩვენი აბრეშუმის ამბავი დაწერილებით, თუმცა ის მოსკოველია და იქ აკეთებს აბრეშუმს და უ. ხოჯაევი ჩვენებური სპეციალისტია. უ. ალექსანდროვის გულიც მოდიოდა, რომ ჩვენ მაგალითს იტალიაში გვიჩვენებდა უ. ხოჯაევი, მაშინ როდესაც ნამდვილი აბრეშუმის მოყვა-

ნა ძველათაც ჩვენში ყოფილა და ეხლაც აქ არისო. უ. ალექსანდროვის სიტყვით, იტალიის აბრეშუმი იყიდება ფუთი 150 მან. და ჩვენებური აღის 320 მანეთამდი ფუთი. ამ თასში ვხედავთ კარგათ ვინ სად უნდა ისწავლოს: ჩვენ იტალიაში, თუ იტალიელებმა ჩვენში. ჩვენში აბრეშუმი მშენებელი არის, მხოლოდ უნდა ვეცადოთ, რომ ბევრი მოვიყვანოთ და გავაფრცლოთ მთელ ქვეყანის აქეთა მხარეში აბრეშუმის კეთება. უ. ხოჯაევის აზრით, არტელური წყობილებისთანა არა არის აბრეშუმის კეთებისათვის და მისი ხალხში გაფრცობისათვის.

შველა დავთანხმენ, რომ პარკის მოსაყვანათ არტელი მშენებელი არის, მაგრამ აბრეშუმის ამოხვევისათვის ისევე ეხლანდელი წესი ამჯობინეს: რომ პარკათ გაიყიდოს და აბრეშუმი საკუთარ ფაბრიკაზედ ამოიხვიოს.

რამდენათაც შევნიშნეთ, უ. ხოჯაევილი კი მიმართულებისა არის, სურს კეთილი ჩვენი ხალხისთვის და მასთან არის ახალგაზდა; მას ყველაფერი შეუძლიან, თუ მოინდომებს. ჩვენი გულითადი სურვილია, მან ყურადღებით შეისწავლოს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი წარმოების კი და ავიმხარე დინახოს კარგათ და მერვე გვიჩვენოს მისი გაუმჯობესობის გზა და საშუალება.

მრშაბათს იყო მესამე სხდომა. აქ შკოლებზედ და საზოგადოთ სახალხო განათლებაზედ იყო ლაპარაკი; ორი იყო მომხსენებელი: უ. მერეშიაგინი და უ. შკლიხოვსკი.

რაც შკოლების ნამდვილ მნიშვნელობას შევხება, ერთობ კარგათ და დაწერილებითა სთქვა უ. მერეშიაგინმა. მართლათაც, მთელ მეროპაში მთელი მუშა ხალხის მოთხოვნილება ის არის, რომ შკოლები მათი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ იყოს დაწესებული: სოფელში შკოლიდგან გამოაუღომა ყმაწვილმა უნდა იცოდეს მიწის მოვლა და მისი მოსავლის თავის რიგზედ მოხმარება; ქალაქში შკოლიდგან გამოსულმა რამე სხვა ხელობა, რომ მითი შეეძლოს თავის შენახვა.

ნამდვილ სარგებლობასაც ამ ნაირი შკოლები მოიტანენ და ხალხიც უფრო დიდი ხალხისთ შეიყვანს იქ შეილებს, რადგანაც მისთვის ცხადი იქნება შკოლის სარგებლობა; თორემ ეხლა, როგორც თითონ უფ. შკლიხოვსკიმაცა სთქვა, ჩვენში თავი და ბოლო რუსული ენის სწავლა არის; გამოვა თუ არა ყმაწვილი შკოლიდგან, ეს ენა მალე ავიწყდება და რჩება ისე, თითქო არსად არაფერი ესწავლოს. ჩვენში საქმის გაადვილებისათვის აუცილებელი საჭიროება არის, რომ სოფლის მასწავლებლებმა იცოდენ სამეურნეო ნაწილი და ასწავლიდენ შკოლებში; ამითი ეხლანდელი შკოლები უფრო სასარგებლოთ შეიქნება და მეორეს მხრით სამეურნეო საზოგადოებას უფრო ბევრი დრო და საშუალება დარჩება, რომ იმისთანა შკოლები, როგორც ლოკინში არის, გახსნას ბევრგან და კარგათ შეინახოს.

ამასთან მარტო შკოლებიც არ გააკეთებს ყველაფერი; ჯერ ყველა ვერ ისწავლის, და ვინც ისწავლის, იმასაც განაღობა და განხვევება ეჭირება; ორივესათვის საჭიროა, რომ მაგალითი ექნეს და შეეძლოს ავის და კარგის შედარება, ამიტომ მეტად საჭირო არის, ხშირად სამეურნეო გაძოფენა და კონკურსი იქნეს ხოლმე, რაც შეიძლება სხვა და სხვა ადგილას და ყოველთვის სოფლებში.

ბევრი თხოულობდა, რომ ლოკინის შკოლა სხვაგან გადატანილიყოს. ამ უკანასკნელი წინადადებისათვის დინიშნება კამისია და ერთ მომავალ სხდომაზედ იქნება ამაზედ გადაწყვეტით მოლაპარაკება.

დანარჩენი წინადადებანი მიიღეს ყველამ, და შეიძლება არც-კი ითქმოდან რამე მათ მიღების დროს, რომ უ. შკლიხოვსკის თავის მოხსენებით სხვა ფიქრები არ მოგვანებია მსმენელებისათვის; მას უნდა პედაგოგურის მხრით გაერჩია სამეურნეო შკოლების მნიშვნელობა და იმან-კი სულ სხვა მხრით დავანახვა მათი მნიშვნელობა, პასუხიცამ მხრით მიუგეს. მრთი ეს იყო საკვირველი, რომ მისთანას არაფის ულაპარაკნია, რომ უ. შკლიხოვსკისათვის არ გადაეკრას; პედაგოგიც ამისთანა უნდა, რომ ასე შეაყვაროს თავი საზოგადოებას.

ბ. ჯ.

დღიური

მსმალოს საქართველოდგან შემდეგი ამბები მივიღეთ ამ დღეებში:

ბათუმის ლუბერნატორს შიქრიფაშას მსმალოს საქართველოს ხალხმა ერთის ხმით უჩივლა, რომ კამკამების და მუდირების შემწეობით, ყოველს წელს ჩვენის პროვინციებიდგან, ნებით თუ მოტაცებით, ათასამდე ჩვენს ქალებს მალულად სტამბოლს ჰარემში ჰგზავნიან; აი ეხლაც თუთხმეტი სული ჩვენი ქალები შიქრიფაშამ წასვლის წინ ცეცხლის გემით გაგზავნაო. ქალები მიზამში მიყვართო და ჩვენს ქალებს ჰარემში ჰგზავნიანო და სტამბოლს ჰყიდიანო, ასე რომ ჩვენს პროვინციებში ხალხი თან-და-თან აკლდება და თუ ასე გაგრძელდა, მალე ჩვენი ქართველობა სრულიად მოისპობაო.

ამ გვარმა ხალხის ჩივილმა სტამბოლის მთავრობა ექვში შეიყვანა მაზედ, რომ ეითომც ეს ხალხის ჩივილი ბათუმის ფაშაზედ მომხდარიყოს რამდენიმე თანამდებობის პირების რჩევით და თუმცა თვით შიქრიფაშა გამოსცვალეს და მის მაგიერ დანიშნეს ბათუმის ლუბერნატორად ბამიდ-ფაშა, მაგრამ იმ შემჩნეულ პირებზედაც მოხდა ცელილება:

მსმალოს შოთის ვიცე-კონსული ხასან-ალა ლაზი-ტანელი გამოცვალეს, შანდარმის ბათალიონის კომანდირი ჩაქველი-ხუსეინ-ბეგი (პირმსახურად) გადააყენეს თანამდებობიდგან.

„მოხუცი კამკამი (უფროსი უფროსი) მსმალს შეეცდნენ, მანეთში გადყენეს კამკამი“

„თუმცა ეს ცელილება მოხდა, მაგრამ მსმალს საქართველოს ხალხი მაინც ადლებულა და რამოდენიმე კაცი კიდევაც გაგზავნეს სტამბოლს მომიჩინად თავის ქალეების სტამბოლში გაგზავნისათვის, აგრეთვე სხვა და სხვა ჩინოვნიკების მოქმედებაზედ, რომელთაც უკანასკნელს და ყოველის მხრით მოუთმენელ ცხოვრებაში მიგვახწვენიესო.“

„ამისთანა განხეთქილებას ხალხსა და მთავრობას შორის ჯერ რა ბოლო ექმნება — არცინ იცის.“

ბუშინ წინ, ღვინობისთვის ნას ქალაქში მოვიდა პეტერბურლიდამ ტელეგრამმა, რომელმანც გეაცნობა, რომ თფილისის საადგილ-მამულა ბანკის ათ თუმნიანი გირაოს ფურცლები სრულიად, რაც კი პირველის გასყიდვის შემდეგ გამოიცა ამ ბანკისაგან, გაყიდულა: 18 წლისა და შეიღისთვისა — ცხრა თუმნად და ხუთ მანეთად (95) და დანარჩენი ხანგრძლივის ვალისა — ცხრა თუმნად და ოთხ მანეთად (94).

მრთი ყურადღების ღირსი შენიშნვაა დაბეჭდილი „სასოფლო გაზეთში“, რომ საზოგადოთ ამ უკანასკნელ წლებში გლენობა უფრო კარგა ეჭიდება თავის მამულებსა და, ვისიმე მამულის გაყიდვის დროს, გარედამ შემოსულ კაცს არ ანებებსო, თვითონვე ჰყიდულობსო. წელიწადი არ გავა, რომ დილოში და ქალაქის ახლო-მახლო სხვა სოფლებში, სადაც ქალაქის ხალხს ბევრი მამულები აქეთო, რომელიმე მამული არ გაიყიდოსო და ეს მამულები ისევე ჩვენ გლენებს უფარდებათ ხელშიო.

რამდენათ ეს ამბავი სასიამოვნოა, იმდენათ სამწუხაროა მეორე ამბავი, რომელიც ამავე გაზეთშია გამოცხადებული: ჩვენ შევიტყუეთო, რომ სოფელ მალაროში (შიზიყში) ამ ათ-თხუთმეტი წლის წინათ ოთხას კომლამდინ მოსახლობა იყოო და ამ ჟამად ამის ნახევარზე მეტი არ იქნებოა. ნახევარი კი სულ აქა-იქ გაფანტულა: ზოგი ქალაქში ჩამოსულა, ზოგი დიდესტანში გადასულა და ზოგი მრეწვისა და ბუმბრისაკენ.

ეს გარემოება მით უფრო დასაფიქრებელია, რომ, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ესევე ბედი მარტო ამ გამოჩენილ მალაროს კი არა, თითქმის მთელს შიზიყს მოსვლია. მცხოვრებელთა რიცხვი განახევრდა და ვინც დარჩენ, იმათაც შავი დღე ადგათო, ასე გვეუბნებიან ამ მხარეზე.

ქაზეთიდამ და შართლიდამ წელს ძალიან კარგს ღვინოს მოსავალს გეწერენ. მაგრამ იმერეთიდამ და განსაკუთრებით ბურთიდამ კი ცუდი ხმები მოდის საზოგადოთ წლებანდელ მოსავალზე. სხვათა შორის, „სასოფლო გაზეთშიაც“ იწერებიან, რომ ბურთაში, წვიმების გამო, სიმინდი, ღომი და ფეტვი ძალიან წამხდარაო და იმერეთშიაც



წელს ყურძენზე მომეტებული ნა-  
ცარი დაუყრიაო.

□ ჩვენს ქალაქს მალე ახალი  
ცირკი ეწყვევა; ბუნების მადანზე  
ამზადებენ ბოდჭრუს ცირკისათვის  
ახალს, ვრცელ შენობას.

„დ რ მ ი ბ ა“ კორესპონდენცია

თელავი, 25 სექტემბერს

საითაც არ გაეიხედავ, ყოველის  
მხრით მესმის: თელავის სასულიერო  
სასწავლებელი უნდა დაიკეტოს,  
რადგანაც არაფერი სარგებლო-  
ბა არ მოაქვს და არ მოაქვს კიდევ  
იმით, რომ კარგი მასწავლებლე-  
ბი არა ჰყავსო.

მომატებული რიცხვი ამტკიცებს,  
რომ დაკეტა სჯობს, რომელთა  
რიცხვი არ შემოიძლიან არ მოეყო-  
ლო უ. რაფიელაშვილი თავის კორ-  
ესპონდენციით. მე არა ვრაცხ სა-  
ჭიროდ წარსული მოვიგონო; მხო-  
ლოდ მე მინდა აწმდგომი მდგომა-  
რეობა სასწავლებლისა დაეანხო სა-  
ზოგადოებას და მაშინ გამოჩნდება  
ენ სტყუვის, რომ თელავის სასუ-  
ლიერო სასწავლებელს, ვითომც,  
არაერთი სარგებლობა არ მოაქვს.

1872 წელს აქეთ სასწავლებელს  
არა აქვს მოსამზადებელი კლასი. —  
შეველამ კარგათ იცის, რა ნაირ სა-  
ჭიროებას შეადგენს ეს კლასი სასწა-  
ვლებლის არსებობისათვის. წედლე-  
ბი, რომელთა შვილები სწავლობენ  
მომატებულად ამ სასწავლებელში,  
მოკლებულნი საშუალებას ჯეროფ-  
ნად შვილების პირველი კლასისათვის  
მოსამზადებლად, გაჭირვებულნი იყ-  
ნენ და არიან მისცენ შვილები მო-  
სამზადებლად და ვითომ რუსულის  
სასწავლებლად გადამდგარ სალდა-  
თებს და ფელთფებებს მომბორზე,  
საცხენეში, თუქურშიშას და სხვან.

ამ სალდათების არა თუ მომზა-  
დებულნი, არამედ გარეუღნი ყმა-  
წილები მოჰყენდათ და ეხლაც მოჰ-  
ყავთ სასწავლებლის პირველ კლასში  
მისაღებად. მსიღდან და ხან ოც-  
დაათიდან სასწავლებლის მთავრო-  
ბა ხუთს ან ექვს მიიღებდა და იმა-  
თაც იმიტომ კი არა, რომ ღირსნი  
იყენენ მიღებისა, უფრო იმიტომ, რომ  
სასწავლებლის ერთი კლასი ცარიე-  
ლი არ დარჩომოდა. ეს სასწავლე-  
ბელი, რომელსაც თითქმის ყველა  
საქართველოს სასულიერო სასწა-  
ვლებლებზე მეტი შემომავალი აქვს:  
თელავში 147 სამრევლოა მიწერილი,  
ეს სასწავლებელი, ვიმეორებ, აქ ამ  
მდგომარეობაში იყო და არის დღე-  
საც.

რატომ არ იზრუნა სამღვდლო-  
ებამ? წარსულ წელიწადს მთავრობის  
განკარგულებით იყო დანიშნული  
სამღვდლოების კრება ამ სავანზე  
მოსალაპარაკებლად. ძრებამ გადას-  
წყვიტა წელიწადში ათას ოცდა ცხ-  
რა მანეთ (1029), თითო სამრევლოზე  
(შტატზე) შვიდი მანეთი ეძლია მო-  
სამზადებელი კლასის გასახსნელად  
და სხვა სასწავლებლის საჭიროები-  
სათვის. გადაწყვეტილება წარუდგინა

თავის მთავრობას დასამტკიცებლად  
და ჯერ არ დაუმტკიცებია.

წელს მაისში იყო დანიშნული  
კრება ქართული ენის მასწავლებლის  
ჯამაგირის დასანიშნვლად. ძრებამ,  
სხვათა შორის, სთხოვა თავის მთავრო-  
ბას მოხსენებული გადაწყვეტილების  
დროით დამტკიცება, რომ ამ სამოსწა-  
ვლებლო წლიდან — სექტემბრიდან  
მანაც გახსნილიყო მოსამზადებელი  
კლასი. ამ თხოვნაზე პასუხი არ მი-  
უღია.

უკანასკნელად, ამ სექტემბრის 18-ს  
იყო დანიშნული მთავრობის გან-  
კარგულებით კრება სასწავლებლის  
ზედამხედველის აღმოსარჩევლად. ძრე-  
ბამ ამოიჩინა ზედამხედველი და  
მასთან გაუმეორა მთავრობას წარ-  
სული წლის კრების გადაწყვეტილე-  
ბა, ე. ი. მეორედ გადასწყვიტა ათას  
ოცდა ცხრა მანეთის მიცემა მოსამ-  
ზადებლის კლასის გასახსნელად და  
სხვა სასწავლებლის საჭიროებისათვის.  
მნახოთ ახლა რა აქნება.

იმახიან და თითქმის საქვეყნოთ  
სწერენ კიდევაც, სასწავლებელში  
ორმოც მოწაფეზე მეტი არ არის და  
არ არიან ბევრნი მოსწავლეები კიდევ  
იმით, რომ მასწავლებლები არ  
ვარგანანო; ორმოცი მოწაფესთვის  
ოთხასიდან ხუთას თუმნამდინ ფუ-  
ლი იხარჯებაო. მართალია, ეხლა  
სასწავლებელში ოცდა თოთხმეტ  
მოსწავლეზე მეტი არ არის, მაგრამ  
ამის მიზეზი სასწავლებლების უფარ-  
ვისობა კი არ არის, ისაა რაც ზე-  
ვითა ესტკივთ, რომ მოსამზადებელი  
კლასი არა აქვს სასწავლებელს და  
თუ პირველში მისაღები არაფერ  
ეყოლება, შემდეგ კლასებში ვის დას-  
ხავ? აქამდინაც რომ სასწავლებლის  
მთავრობას ჯეროვნად გამოეცადნა  
ხოლმე პირველში მისაღები კმაწვი-  
ლები, ერთიც არ ამოჩნდებოდა ღირ-  
სი მიღებისა და სასწავლებელი დაი-  
ხურებოდა.

ზაუხსენით თელავის სასწავლე-  
ბელს მოსამზადებელი კლასი და ნა-  
ხავთ, რომ ოთხი წლის შემდეგ ორა-  
სი მოსწავლე ითვლებოდეს სასწა-  
ვლებელში და მაშინ, მაშინ ცხადათ  
გამოჩნდება: ვინ სტყუოდა და ვინ  
სტყუვის.

ნასომხარი

რუსეთი

✱ ზოგიერთ პეტერბურლის ახ-  
ლო-მახლო სოფლებში გლეხები  
დიდს გაჭირებაში არიან თურმე, რომ  
ვალეები და სხვა და სხვა ხარჯი გა-  
დაიხადონ. როგორც ჩვენში, სწორეთ  
ისე იქაც არიან ხარჩები, რომელთაც  
ამ გლეხებისთვის ფული უსესხებიათ  
და ახლა ვალში ყანებსა და საქო-  
ნელს უყდიან.

✱ მენკენისთვის 28 ს ყოფილა  
მოსწავლე-ქალების მიღება იმ საბე-  
ბიო კურსებზე, რომელიც მედიკო-  
ხირურგიის აკადემიასთან არის გახს-  
ნილი; 125 მსურველი ქალი აღ-  
მოჩენილა, რომელთაგან 95 ჩინე-

ბულად დაუჭირიათ ვგზამენი, და  
ესენი კიდევ მიუღიათ.

✱ მლისავეტგრადის კორესპონ-  
დენტი „მდესის მოამბისა“ იწერება,  
რომ ამას წინათ ჩვენში საფრანგე-  
თის სამხედრო აგენტი იყოფო, რომ-  
მელმანც ღონის ყახანების ჯარი და-  
ხედაო და ისეთ ნაირად მოაწონა  
ამათი დაწყობილობა და სამხედრო  
საქმის ცოდნაო, რომ სთქვა: „ყვე-  
ლაფერი რაც აქ ენახე, საფრანგეთ-  
ში რომ ვსთქვა, არ დამიჯერებნო.“

✱ ბაზეთებში გამოცხადებულია  
ანგარში იმ „ხელოსნების ბამსესხე-  
ბელ-შემნახველი ამხანაგობისა“ (ბან-  
კისა), რომელიც რამდენიმე წელი-  
წაღია; რაც დაარსდა პეტერბურლში.  
ანგარიშიდამ სჩანს, რომ ამ ამხანა-  
გობას ერთი წლის განმავლობაში  
თითქმის ერთი მილიონი მანეთი  
დაუტრიალებია. ამხანაგობა ამ ქა-  
მალ სესხს 10% აძლევს და ამას გარ-  
და ნივთებსაც იღებს გიროთ, რომ-  
მლისთვისაც წელიწადში 18% ახდე-  
ვინებს.

✱ მდესის უფზდის ერობას გა-  
დაუწყვეტია ექესი ათასი თუმნის  
დარიგება იმ სოფლებისათვის, რომ-  
მელთაც ცუდი მოსავალი ჰქონდათ  
და დასათესად ხორბალი ეჭირებათ.

უცხო ქვეყნები

გერცოგოვინის არაულობა.

იმ ხონტკრის ფირმანს (ბრსანებას)  
გარდა, რომელიც ამას წინათ გამო-  
აცხადა მსმალოს მთავრობამ აჯან-  
ყებულ ბერცოგოვინისა და ბოსნი-  
აში და რომლის ძალით ხალხს ერ-  
თი-ორად ხარჯის გადასახადის შემ-  
სუბუქებას ჰპირდებიან, სერვერ-ფა-  
შას კიდევ ახალი ფირმანი გამოუ-  
ცია, რომელშიაც აცხადებს, რომ  
დაწყნარდება თუ არა ეს ქვეყნები,  
იმწამსვე ოფიციალურ ენათ (ე. ი.  
სასამართლოებში და სხვა სახელმწი-  
ფო მიწერ-მოწერისათვის) ყველა ხალ-  
ხებს თავიანთი სამშობლო ენა ექ-  
ნებათო და მსმალოს ჩინოვნი-  
კების ზედამხედველად განსაკუთ-  
რებული კონტროლი იქნება დანი-  
შნულიო.

მრთი ინგლისური გაზეთის კორ-  
ესპონდენტს ლიუბობრატოვიჩთან  
და აჯანყებულების სხვა მოთავე კა-  
ცებთან ულაპარაკნია და ამ თავის  
საუბარს ახლა აცხადებს. ამ მოთა-  
ვე კაცების სიტყვით, ბერცოგოვინა  
და ბოსნია მანამ არ დაწყნარდება,  
მანამ იბრძოლებენ და სისხლს ღერი-  
ან, სანამ თავიანთ განზრახვა არ შეუ-  
სრულდებათ; და იმათი განზრახვა ის  
არის რომ ან სრულიად განთავისუფლ-  
დნენ მსმალოს უღელისაგან და ცალ-  
კე სახელმწიფო შეადგინონ, ან ჩერ-  
ნოგორიას შეუერთდნენ.

ლიუბობრატოვიჩი რაგუზაში ყო-  
ფილა და ზამთრისათვის სურსათს და  
სამხედრო მასალებს ამზადებსო. ის  
ამ თავითვე აცხადებს თურმე, რომ  
ჩვენ ყველას გადაწყვეტილი გვაქე-  
სო, რომ ან თავი მოვიკლათ და  
ჩვენი სამშობლო უღაბნოთ ვაქცი-

ოთ და ან მსმალოს კლანჭებიდამ  
განთავისუფლდეთო. ზაჭეთებზე ვმძ-  
ბობენ, რომ თუ ეს სტატუსი იქნება  
ლო მუქარა არ არის და მსმალოს  
შესაშინებელად არ აერცლებენ,  
უეჭველია, აჯანყებულები თავისას  
გაიტანენო.

ბრძოლის ველიდამ შესანიშნავი  
უკანასკნელი ფოჩითი მიანცა-და-მა-  
ინც არა მოსულა რა. მოწინააღმდე-  
გენი რამდენიმეჯერ შეტაკებულან  
და ზოგან ერთ მხარეს გაუმარჯუნია,  
ზოგან მეორეს. მრთი რუსული  
გაზეთის დევეშა გეაცნობებს, რომ  
1,000 სლავიანელი გადასულა ბა-  
ცკოლამ ბოსნიაში, აჯანყებულების  
დასახმარებლად.

საზრანბოთი. ძინალამ ბჰიუჭჭეს  
სამინისტრო არ დაირღვა ამას წინათ  
იმის გამო, რომ ერცე-პრეზიდენტი  
არ დათანხმდა ოფიციალურს გაზეთ-  
ში ერთი სიტყვის დაბეჭდვას, რომ-  
მელიც ფინანსთ მინისტრმა ლეონ-  
სემ წარმოსთქვა ერთს კრებაში. სა-  
მინისტროს რჩევაში როგორც იყო  
ეს საქმე მშვიდობიანათ გათაედა,  
სამინისტრო ისევ დარჩა; მაგრამ, პა-  
რიჟის გაზეთების სიტყვით, კრიზისს  
დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ, რა-  
დგან ბჰიუჭჭეს პოლიტიკა საფრან-  
გეთში კაცს არ აკმაყოფილებსო,  
ერთობ აშკარად სჩანს იმის მადგო-  
მა ბონაპარტიელებისაო.

პარიჟის პოლიციის პრეფექტს  
ლეონ-ჩენოს მმართველობამ მიან-  
დო, რომ მთელს საფრანგეთში გა-  
მოკლევია მოახდინოს შესახებ ბო-  
ნაპარტიელების მოქმედებისა.

მსპანი. სამინისტროს ოფიცია-  
ლური გაზეთი დარწმუნებით გეაც-  
ნობებს, რომ მსპანიის ძორტესები  
მომავალი წლის 14 იანვარს შეიკ-  
რბება მადრიდშიო, ე. ი. იმ დღეს,  
რა დღესაც კაროლი ღონ-პლჭონ-  
სი მსპანიის ტახტზე ავიდაო.


იტალია. ბერმანიის იმპერატორი  
მილქელში იტალიაში წასვლას აპი-  
რებს; სხვათა შორის, როგორც ამ-  
ბობენ, იმის ამაღლაში იქნებიან თ.  
ბისმარკი და გრ. მოლტკე. იმ იტა-  
ლიის ქალაქებში (მაგ. მილანში),  
სადაც ბერმანიის იმპერატორი შე-  
ჩერდება, დიდი მზადებაა, რომ ღირ-  
სეულად მიიღონ.

ნარეკი

„ნარეკის“ ერთგულ მკითხველებს ეხსო-  
ვებათ პროცესის ინგლისის პოლკოვნიკის  
ბეკკერისა, რომელიც რკინის გზის ვაგონში  
ერთი ახალგაზდა ქალის შეურაცხყოფისათვის  
დასაჯეს. ამ პროცესის შემდეგ, ინგლისში  
ახალი მოდა შემოვიდა: რკინის გზაზე ისე  
იშვითად ნახეთ ქალს, რომ ან პატარა ხან-  
ჯალი არ ეკიდოს ქამარზე ან რევოლვერი.  
სასაცილოდ ის არისო, ამბობს ერთი გაზეთი,  
რომ ხანჯლები და რევოლვერები ხშირად  
ისეთ ქალებს ჰკიდიაფო, რომელნიც დარწმუ-  
ნებულნი უნდა იყვნენო, რომ იმათ მოკურ-  
კურე კაცები ხმასაც არ გასცემნო.

✱ ✱  
მრთს ამერიკელს ისეთ ნაირი ჰაეროსტა-  
ტი მოუწყვია; რომლის შემწვობითაც საი-  
თაც უნდა, იქით გაფრინდება თურმე. ამ





კაცს განზრახვა აქვს, რომ წიუ იორკიდან ლონდონში წავიდა ფორტა ფორტოს და მთავრობისაგან ჰსურს უფლება აიღოს, რომ შერობასა და ამერიკას შუა ამ თავის პერსონალიტით ფორტა ატაროს, მუდამ ექვსი დღის განმავლობაში ეტარებდეს.

1870 წლის განმავლობაში ამერიკაში და ამერიკაში 2,200,000 საათი გააკეთეს სხვა და სხვა საათის მოხელეობა. ამ რიცხვიდან შევიცარიაში გააკეთეს 1,600,000 საათი, საფრანგეთში—300,000 და ინგლისში—200,000. მართლაც ერთმა ბერის კანტონმა (შვეიცარიაში) ნახევარი მილიონი საათი გააკეთა.

მის ფრანკულულს სამასხარო გაზეთში შემდეგი ანექლოტია მოყვანილი, რომელიც ჩვენებური „საქმის კაცებისთვისაც“ კარგათ გასაგებია:

პარიკის ბულვარზე ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. მათი ეუბნება მეორეს, რომელიც თავის გაიძვირობით იყო განთქმული:

— ამბობენ, რომ თქვენ უფ. ბენს უამხანაღდებით და რაღაც საქმე უნდა დაიწყეთო. მართლაც, ეს ამბავი?

— დიახ, ნამდვილია. — რითი უნდა დავხმაროთ მერე თქვენ თქვენის მხრით ამ საქმეს?

— შე ჩემს გამოცდილებას მოვანხმარ ამ საქმეს და ის კი თავის ფულს შემოიტანს. ჩვენი ამხანაგობა ხუთს წელიწადს გაგრძელდება; ხუთი წლის შემდეგ უფ. ბ. ჩემს გამოცდილებას შეიძენს და მე კი იმის ფულს ვაღებ.

სტრისის გამოჩენილი დიპლომატი მეტრონი ამბობდა ინგლისელებზე: „ყოველი ინგლისელი ცალკე რომ ავიღოთ — გიჟია; მაგრამ ყველა ინგლისელი ერთად მთელ დედა-მიწაზე უჭკუიანეს ხალხს შეადგენენ.“

წიუ-იორკში შემდგარა საზოგადოება, რომელიც ავრცელებს ამერიკაში აზრს, რომ მიცვალებული ადაიანის გვამი დასწვან და არა დაშარბონ. ამ საზოგადოებაში ამჟამად 420 კაცია თურმე, რომელთაც ყველას ანდერძი შეუდგენიათ, რომ მიცვალების შემდეგ ჩვენი გვამი უნდა დაიწვასო.

1857 წელს იტალიაში 298 გაზეთი გამოდიოდა; 1873 წელს კი ეს რიცხვი თითქმის ხუთჯერ გამრავლდა ასე, რომ ამ წელს 1,127 გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა. ამჟამად იტალიაში, სხვათა შორის გამოდის: 394 საპოლიტიკო გაზეთი, 78 კლერიკალური (სამღვარო წერილის), 100 სამეურნეო და 58 სამეცნიერო და ლიტერატურული.

# განცხადებანი

## თვილის სამკურნალო

(4 კარილის სასოფრად)

მრეწვის მიღწევა, ჩიტანოვის სასოფრში. ავამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათამდე ნაშუადღევს 1 საათამდე.

მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ექიმი ტელიაჭუსი — ქაღისა და ყმაწვილების ავამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიციევი — შინაგანი ავამყოფობისათვის.

ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერშიშვიდი და მარკაროვი — შინაგანი ავამყოფობისათვის.

მ. თ. ხ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ლისიციევი — შინაგანი ავამყოფობა, მაკოვსკი — ვენერიული ავამყოფობისათვის.

ხ. უ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ბრახოვსკი — ხირურგიული ავამყოფობა, ტელიაჭუსი — ქაღებისა და ყმაწვილების ავამყოფობა და შერშიშვიდი — შინაგანი ავამყოფობისათვის.

პ. ა. რ. ა. ს. კ. ე. ვ. ს. ლისიციევი და მარკაროვი — შინაგანი ავამყოფობისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს. შერშიშვიდი — შინაგანი ავამყოფობა და მაკოვსკი — ვენერიული ავამყოფობისათვის.

## იხილება

თვილისში შექთიმე ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

# საყვარელი კონა

ირველ - დაწყებითი მოთხოვნებისა, გუნების მაცნებელია და შემდგენილი იაკობ ბოგებაშვილისაგან გამოცემული სტ. ზარაფოვისაგან უასი ხუთი რაზრი

## დაიბეჭდა და იხილება თამარ სამართავლოს ბატონის ვილიის

ისტორიული რომანი

ბ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა .

თვილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და მნფაჯანციის წიგნის მაღაზიაში. უასი ყველგან ექვსი რაზრი.

ბეჭდვიდან გამოვიდა და იხილება მ თ ე ლ ი ს ი ს ი: მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში I და II კარი ჰარამანიანისა, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე მნფაჯანციის საწიგნო მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და აგრეთვე მიხაილოვის ხილზედ უფ. მიროზოვის შენობაში აბოვიანციის მაღაზიის პირდაპირ უფ. ძალანდაძესთან.

მ თ თ ა ი შ ი: ბუბერნიის სტამბაში სემონ ჩომახიძესთან. შევლგან ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა III კარი ჰარამანიანისა.

იხილება უმჯელ გვარი ქართული წიგნები თვილისში მკითხვენი ძალანდაძის და ამხან. წიგნის მაღაზიაში, ქუჩის ხილზე, მიროზოვის სახლში, აბოვიანციის მაღაზიის პირდაპირ. (6-6)

მაცნობებ პატრიცემულ საზოგადოებას, რომ მე გაეხსენი ქუჩაში, მიხაილოვის ქუჩაზე, ზარაფოვის სახლების პირდაპირ

ახალი სააზრავი წიგნებისა და ეილებ საკანავად წიგნებს ჩეეულებრივს ფასზე უფრო იფუად. ზ. ცოგაია

ახალგაზდა კაცს ჰსურს ასწავლოს შაგირდებს პროგიმანზის კურსიდან. საგნებს გარდა შეუძლიან ასწავლონ ენები: მართული, სომხური, რუსული, ფრანგული და ლათინური.

იღებს აგრეთვე შაგირდებს თავის სახლში მდგმურებად (პანაიონერებათ). დაწერილებითი პირობებისათვის მსურველს შეუძლიან მიმართოს: სტუბნიშანის ქუჩაში, ტერ-აკოფოვის სახლებში, აბესალომოვის სახლების პირდაპირ. (4-4)

# ერთის წლის ანგარიში

თიონეთის გამსესხებელ-შემხანგველის ამხანაგობის აღებ-მიცემისა, 1-ს სექტებრიდან 1874 წლისა, ესე იგი

პრველ დაფუძნებულ ამხანაგობისა, 1 ს სექტებრიდან 1875 წლისა, დამტკიცებული მემლწიერი უბნებისაგან 6 სექტებრის 1875 წელსა. ამხანაგობაში ირიცხება წევრად

- ს ა მ ა ს ო თ ნ ი კ ა ც ი .
- ა) შემოსავალი:
- 1) წევრთაგან შემოტანილი მან. კაპ. საწილო ფული. . . . . 3347 20
  - 2) ამხანაგობამ იხსნა ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან . . . . . 3220 „
  - 3) სასარგებლოთ არის შემოტანილი წევრთაგან . . . . . 480 „
  - 4) სარგებელი აღებულია გახსენებულის ფულისაგან . . . . . 643 81
  - 5) სესხი და ბრუნებულა ახალი ვადა-მიუცემელი და ახალი ვადა-მიცემული . . . . . 2867 „
  - 6) ჯარიმა აღებულია . . . . . 2 69

სულ შემოსულა. . . 10560 70

- ბ) გასავალი
- 1) გასესხებულა. . . . . 9333 „
  - 2) სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ შემოტანილის ნასესხისა . . . . . 9 18
  - 3) სარგებელი მიეცა ამხანაგობისაგან ნასესხს ფულზედ . . . . . 96 50
  - 4) სასარგებლოდ შემოტანილი ფული დაუბრუნდათ . . . . . 100 „
  - 5) სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ მიეცათ . . . . . 4 33
  - 6) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში არის შეტანილი . . . . . 200 „
  - 7) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ დაიჭირა სესხობის დროს წესდების ძალით . . . . . 10 50
  - 8) ტფილისის სავაჭრო ბანკში არის შეტანილი . . . . . 100 „
  - 9) დახარჯული არის გამოგებაზედ . . . . . 295 50 1/2

ჯამი. . . 10149 1 1/2

მასსაში არის ნაღდი ფული 411 68 1/2

მართანი ჯამი. . 10560 70

შ ე ნ ი ვ ე ნ ა: 1-ს იანერიდან 1875 წლისა ნასესხს ფულზედ 1150 მან. და სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ 380 მან. სარგებელი ჯერ არ მისცემიათ და რადგან ვადა ჯერ არ შექსრულებიათ.

პ. ბაქრაძე  
გამგებელი {  
                  3. დოდავი  
                  მ. შიუკოვი

რ.ა. გ.ზ.ა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	სტატისტიკის გამოვლი	ფოტოგრაფია	ბიზნა	მან. კაპ.	მან. კაპ.
თვილისი	9 36	4 54			ა) ფოტოგრაფია: მდესისკენ — ორშაბ. დილისგანათ. სტამბოლს — კვირაობით დილას.	ა) თ ფ ი ლ ს ი დ ა მ: სამხლარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდის შ., მზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	პეტერბურგი, 4 ლვინობ. ერთი მანეთი ღირს: ლონდონში 32 1/2 პენსი. პარიუში 34 1/2 სანტიმი. მსკონტი (სარგებლის ფასი) ბანკის ბილეთი 5%		
მცხეთა			2 68	3 38	ბ) მ თ თ ა ი ს ი დ ა მ: შოთს — სამშაბათს, ღამით.	მთვილისისა და შოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთშაბ.	მოგებიანი (პირველის სესხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		
ბორი	12 21	8 41	4 40	1 23	შოთისკენ: I II III	მთვილისისა და შოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთშაბ.	ბირაოს ფურცლები: თვილ. სახან. ბანკისა, ხერსონის ბანკის (5 1/2) მოსკოვის (5%).	99 25	234
ხაშური	2 —	11 10	3 92	2 18	სოხუმამდი . 4 " 3 " 1 "	გ) გ ო რ ი დ ა მ. შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მთვილ. სახან. ბანკისა, ხერსონის ბანკის (5 1/2) მოსკოვის (5%).	226	
ბეჟაბუბანი			4 42	2 46	ქერჩამდი . 20 50 15 50 5 "	დ) შ ო თ ი დ ა მ: შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	პეტერბ. საზღვევ. საზ. პირვ. საზღვევ. საზ. მოსკოვის საზღვევ. საზ.	95	89
შვირილი			5 81	3 23	ტავანოვ. 34 " 27 " 8 60		მოსკოვის საზღვევ. საზ.	86 50	
მუთისი	8 23		6 75	3 75	მდესისკენ, 38 " 30 " 9 60		პეტერბ. საზღვევ. საზ.	193	139 50
სამტრედია			7 73	4 29	ტელეგრაფი მ. კაპ		მოსკოვის საზღვევ. საზ.	560	168
ახ.-სენაკი			8 57	4 76	მცი სიტყვა თვილისიდან: მუთაისს, შოთს		პეტერბ. საზღვევ. საზ.	665	263
ფოთი	11 44		9 75	5 42	ბორს, დუშეთს, სიღნახს		მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	
უთი	8 40				როსტოვს მდესას მოსკოვს				
ახ.-სენაკი			1 18	66	პეტერბურგს, პარსაფს . . . . . 2 —				
სამტრედია			2 61	14	მსხალეთში, შვეიცარიაში				
მუთისი	11 51		3 41	69	იტალიაში და საფრანგეთში.				
შვირილი			3 98	21	ინგლისში. . . . . 3 75				
ბეჟაბუბანი		ლაპე	5 33	2 96					
ხაშური	5 41	1 65	8 43	24					
ბორი	7 23	3 67	3 64	9					
მცხეთა			9 85	4					
თვილისი	10 16	7 24	9 75	5 42					